ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აგრძელებს თანამშრომლობას ევროკომისიის პროგრამა ERASMUS MUNDUS-თან და აცხადებს კონკურსს დევნილის სტატუსის მქონე საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (მათ შორის თსუ-ს) მაგისტრატურის სტუდენტებისა (მესამე სამიზნე ჯგუფი) და ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებისთვის ევროპის 8 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სრული სამაგისტრო სტიპენდიის მოსაპოვებლად (მაქსიმუმ 24 თვე)

სააპლიკაციო დოკუმენტაციის მიღება ხდება ელექტრონულად შემდეგი ვებ-გვერდის საშუალებით:

http://www.electra-project.eu/index.php/applicants/how-to-apply

სავალდებულო დოკუმენტების ჩამონათვალი	
ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ	გაცემული შესაბამისი ფაკულტეტის მიერ (დოკუმენტის ნოტარიალურად დამოწმებული ინგლისური ვერსია)
ბაკალავრის დიპლომი	არქონის შემთხვევაში, ცნობა, რომ დამთავრებული გაქვთ და აღების სავარაუდო თარიღი
ბაკალავრიატის ნიშნების ამონაწერი	გაცემული შესაბამისი ფაკულტეტის მიერ (დოკუმენტის ნოტარიალურად დამოწმებული ინგლისური ვერსია, თუ ფაკულტეტის მიერ არ არის ინგლისურ ენაზე მომზადებული)
ენის საერთაშორისო სერთიფიკატი (TOEFL, IELTS)	თსუ-ს სტუდენტებს, რომელთაც აქვთ თსუ-ს მიერ გაცემული ენის ცოდნის დამადასტურებელი ცნობები შეუძლიათ აღნიშნული ცნობის წარდგენა. საქართველოში აკრედიტებული სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებმა კი უნდა წარადგინონ მშობლიურ უნივერსიტეტში ენის ტესტის (B2) ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი (მიმღებ უნივერსიტეტში სასწავლო ენად შემოთავაზებული ენებიდან ერთ-ერთის: ინგლისური, გერმანული, იტალიური და ა.შ) შესაძლებელია, ასევე, რომ ზოგიერთმა უნივერსიტეტმა სავალდებულოდ მიიჩნიოს საერთაშორისო ენის სერთიფიკატის ქონა, გადაამოწმეთ ინფორმაცია სასურველი უნივერსიტეტის მოთხოვნებში!!
მოტივაციის წერილი	რატომ გსურთ ზემოაღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობის მიღება (ინგლისურ ენაზე)
CV	იხილეთ თანდართული ნიმუში (დანართი 1; EN)
ერთი რეკომენდაციის წერილი	უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ გაცემული (ინგლისურ ენაზე, შესაბამისი ფაკულტეტის ბეჭდით დამოწმებული)
პასპორტი	სურათიანი გვერდის დასკანერებული ვერსია

სოციალურ-ეკონომიკური ან/ და ჯანმრთელობის პრობლემის დამადასტურებელი ცნობა	ოფიციალური დოკუმენტი, რომ მიეკუთვნებით სოციალურად დაუცველ ფენას ან იღებთ სოციალურ შემწეობას, ჯანმრთელობის პრობლემის დამადასტურებელი დოკუმენტი (ნოტარიალურად დამოწმებული ინგლისური ვერსია)
იძულებით გადაადგილებულის/დევნილის სტატუსის დამადასტურებელი ცნობა	გაცემული შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ (ნოტარიალურად დამოწმებული ინგლისური ვერსია)

პროექტში მონაწილე ევროპული უნივერსიტეტები:

1. ოლდენბურგის უნივერსიტეტი, გერმანია
2. ოულუს უნივერსიტეტი, ფინეთი
3. ვალენსიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, ესპანეთი
4. ლიმერიკის უნივერსიტეტი, ირლანდია
5. კრაკოვის იაგელონიის უნივერსიტეტი, პოლონეთი
6. ტურინის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, იტალია
7. მინოს უნივერსიტეტი, პორტუგალია
8. სოფიას ქიმიური ტექნოლოგიებისა და მეტალურგიის უნივერსიტეტი, ბულგარეთი

პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებული სასწავლო პროგრამები:
https://emecw.gis.lu.se/priorityFields.aspx?location=all&lot=ELECTRA
პრიორიტეტული სასწავლო მიმართულებებია: მდგრადობა და გარემოს დაცვა
მობილობის პერიოდი: 2013/2014 აკადემიური წელი
მობილობის ხანგრძლოვობა: მაქსიმუმ 22 თვე , სრული სამაგისტრო კურსი
სტიპენდია მოიცავს 1000 ევროს ყოველთვიურად, საერთაშორისო მგზავრობისა და დაზღვევის დაფინანსებას.

სრული სააპლიკაციო დოკუმენტაციის პროექტის ვებ-გვერდზე ატვირთვის ბოლო ვადა:
2013 წლის 3 მარტი

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ
თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს ელ-ფოსტაზე: erasmus@tsu.ge
(თსუ პირველი კორპუსი, პირველი სართული, ოთახი 121)